ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

თედო ჯაფარიძე

ჰამდენიმე მოსაზრება საბჭოთა პოლიტიკაზე - მანჯიეჩი წრის გაჩოღვევის მცდელობა

2015 #8

სერია: საგარეო პოლიტიკა

ქართული პოლიტიკა
სამეცნიერო ჟურნალი

ძვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა. საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება. ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები. „ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com. გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - www.politlibrary.ge.

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, თედო ჯაფარიძის ნაშრომს -«რამდენიმე მოსაზრება საგარეო პოლიტიკაზე - მანკიერი წრის გარღვევის მცდელობა».

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

საქართველოს პარლამენტის საგარეო
ურთიერთობათა კომიტეტი

თედო ჯაფარიძე

რამდენიმე მოსაზრება საგარეო პოლიტიკაზე – მანკიერი წრის გარღვევის მცდელობა

გამომცემელი: ქიუელი შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

ნიკო
მელიქაძე

„როდემდე?“ - ბატონ თედო ჯაფარიძის წერილის ძირითადი საკითხი

ჩვენ საჯარო სივრცეში სახელმწიფო პოლიტიკის მეთოდოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობა ხშირად არ ხდება. ბატონ თედო ჯაფარიძის წერილმა, პირველ რიგში, სწორედ ამ თვალსაზრისით მიიქცია ჩემი ყურადღება. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით გამოთქმულ მის წუხილში უფრო ზოგად და სიღრმისეულ პრობლემაზე მკაფიო მინიშნება ამოვიკითხე. ფაქტობრივად, ამ წერილში კრიტიკული განსჯის ობიექტი არის არა რომელიმე კონკრეტული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება ან ზოგადი სტრატეგიული არჩევანი, არამედ ქვეყანაში პოლიტიკური აზროვნების კულტურის საერთო მდგომარეობა და შესაბამისად დამკვიდრებული პოლიტიკური პრაქტიკა. თავად ეს წუხილი ცხადად ჟღერს წერილის შემაჯამებელ შეკითხვებში: ***„როდემდე არ უნდა ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე?*** როდემდე უნდა მუდმივად ვანგრიოთ ის, რაც ჩვენამდე შექმნილა? როდემდე უნდა შეგვეშალოს საკუთარი ზომა, წონა და შესაძლებლობები?“ ჩემი ხედვით, აქ ამ პრობლემურად აღქმულ მდგომარეობათა საერთო

კულტურულ საფუძველზე მინიშნება ისევე, როგორც თავად წერილში გამოხატული წუხილის დრამატული ინტონაცია, შეკითხვა „როდემდე?“-შია კონცენტრირებულად გამოხატული.

უფრო ადრე, მიახლოებით სამი ათეული წლის წინად, იგივე პრობლემას მერაბ მამარდაშვილიც აყენებდა: ***„როდემდე ვერ უნდა ვახერხებდეთ ჩვენივე უახლოესი*** ისტორიული გამოცდილებიდან გაკვეთილის გამოტანას?“ ქვეყანაში სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის ამგვარი მდგომარეობის გაცნობიერებით, ფილოსოფოსმა ეს მდგომარეობა, უკვე ლოგიკურად, ასე შეაჯამა: ***„საქართველო ისტორიიდან ამოვარდნილი ქვეყანაა!“***

ტერმინი „ისტორიიდან ამოვარდნა“ (გეორგ ჰეგელის შემდეგ) ქვეყანაში დამკვიდრებული სოციალური და პოლიტიკური კულტურის ანუ „საზოგადოებრივი ცნობიერების“ მდგომარეობის გამომხატველია. ამ მდგომარეობაში ქვეყანა საკუთარ თავს და საკუთარ უახლოეს ისტორიას, ფიზიკური დროის ბუნებრივი მდინარების შესაბამისად, ლოკალურად, მიზეზ-შედეგობრივად მოწესრიგებულ რეალობაში აღიქვამს და იაზრებს. ამგვარ საზოგადოებას (შესაბამისად, მის პოლიტიკურ სისტემას) არ გააჩნია უნარი, ჩვევები, მოთხოვნილება და შესაბამისი ინსტიტუტები, რაც ქვეყნის მიერ განვლილი გზის ყოველი ისტორიული მონაკვეთის გლობალურ კონტექსტში კრიტიკულ გადააზრებას უზრუნველყოფს; ანუ ამ საზოგადოებაში ისტორიული გამოცდილებიდან საზრისის (გაკვეთილის) გამოტანა, როგორც მისი არსებობის კულტურულ აუცილებლობა და პოლიტიკურ ნორმა, არ ხდება. ამ საზოგადოების ძირითადი ყურადღება მიმართულია იმის გარკვევაზე, თუ ***ვინ არის გარდასულ დღეთა მოვლენებზე პასუხიმგებელი დამნაშავე***; აქ იშვიათად ჩნდება არსებითი შეკითხვა: ***როგორ აღმოჩნდა შესაძლებლად ის, რაც მოხდა?*** - შეკითხვა, რომელიც „ისტორიაში ყოფნისათვის“ ფუნდამენტურია. ეს არარის ფილოსოფოსის მჭვრეტელობითი ინტერესის გამომხატველი რიტორიკული შეკითხვა. მისი

პრაგმატული აზრი უმნიშვნელოვანესია. ქვეყანა, რომელიც საკუთარი უახლოესი ისტორიული გამოცდილების შესახებ საკუთარ თავს ამ შეკითხვას არ უსვამს და, შესაბამისად, არც მასზე პასუხი გააჩნია - მას საკუთარი ისტორიული გამოცდილება გაგებული, კრიტიკულად გადააზრებული არა აქვს. ე.ი. ქვეყნისათვის „ამ განწირულ სულისკვეთებას“ უაზროდ „ჩაუვლია“! ეს შეკითხვა - ***„როდემდე?“*** - სწორედ ამგვარ მდგომარეობაზე წუხილის გამომხატველია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ქვეყანა თანამედროვე ფორმით განვითარების პროცესების მიღმა იმყოფება.

თანამედროვე განვითარება ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილების ისეთ გააზრებას ეფუძნება, რომელიც მათ კოლექტიურ ცნობიერებაში შეუქცევად კვალს ტოვებს: ადამიანებისათვის ნათელი ხდება არა ის, თუ ***„რატომ ან როგორ*** მოხდა ის, რაც მოხდა“, არამედ, „***რისთვის*** მოხდა ის, რაც მოხდა“; ანუ ნათელი ხდება, თუ რომელმა კულტურულმა და სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პირობებმა და მექანიზმებმა წარმოშვა ერთობლივად მათი ყურადღების ცენტრში მოქცეული მოვლენები. მაშინ და მხოლოდ მაშინ იქმნება ერთადერთი მყარი საფუძველი იმისა, რომ ის, რაც უახლოესი ისტორიული დროის რაღაც მონაკვეთში მოხდა, როგორც სასურველი სიკეთე ან როგორც კატეგორიულად მიუღებელი ბოროტება, მათივე ძალისხმევით იქნება მდგრადად დამკვიდრებული ან აღკვეთილი, ე.ი. აღარ განმეორდება „აწ და მარადის“.

სუვერენული საქართველოს პოლიტიკურ ძალისხმევაში განვლილი ორ ათეულ წელზე მეტი დროის განმავლობაში მიღებული შინა და გარე პოლიტიკური გადაწყვეტილებათა შორის მრავალის არაეფექტიანობა ცხოვრებამ დაადასტურა. ზოგ მათგანს, როგორც ეტყობა, ობიექტურად ვერ ავირიდებდით, მაგრამ არა ყველას. მათზე რეტროსპექტიულად თვალის გადავლებითაც კი ვამჩნევთ მათი სისუსტის საერთო, უაღრესად ზოგად, თვისობრივ ნიშნებს: არ გავითვალიწინეთ, ვერ შევაფასეთ, არაადეკვატურად გავიაზრეთ ჩვენი რეალობა, არ გავიცნობიერეთ მისი გლობალური კონტექსტი;

ვერ მოვემზადეთ, არასწორად ვიმოქმედეთ, მოვინდომეთ ის, რაც არ უნდა მოგვენდომებინა და ა.შ. მთავარი აქ ის არის, რომ ყველა ეს „არ“ და „ვერ“ უაღრესად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია; მათ სიღრმისეულ გააზრებას საერთო ძირამდე ჩავყავართ, რომელიც ყოფითი მზერისათვის, ჩვეულებრივად, უხილავია. ამ საფუძვლის წვდომა, ყველგან და ყოველთვის, პოლიტიკური აზროვნების უნივერსალური და მარადიული პრობლემაა - მისი ბედისწერაა. ამდენად, ცხადია, რომ ეს პრობლემა ყოველ მოაზროვნე ქვეყანას, მისი პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფის გარდუვალი აუცილებლობის კატეგორიული მოთხოვნით, ჰქონდა, და ზოგს ჯერ კიდევ აქვს, გადასაწყვეტი.

ამ პრობლემამ, განსაკუთრებული სიმწვავე (როგორც პოლიტიკურ აზროვნებაში, ისევე პოლიტიკურ პრაქტიკაში), მეოცე საუკუნის 60-ანი წლების მეორე ნახევრიდან შეიძინა. განვითარებულ მსოფლიოში ლიბერალური სულისკვეთების აღზევებამ, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების საერთო გლობალიზაციამ და ყოველგვარ ლოკალურ ინტერესთა შორის უკომპრომისო კონკურენციის საერთო სოციალურ-კულტურული ატმოსფეროს ჩამოყალიბებამ, რადიკალურად ახალი თვისობრივი შინაარსის რეალობა შექმნა. ამგვარ გარემოში ყველაფერი, რაც ობიექტურად ანგარიშგასაწევი, გასათვალისწინებელი და გადასააზრებელი გახდა, იმდენად მასშტაბური, მრავალსახა, არაერთმნიშვნელოვანი და საწყისად გაურკვეველი ხასიათი შეიძინა, რომ პოლიტი-კოსის გონიერი მზერით მისი ერთიანი მოცვა პრინციპულად შეუძლებელი გახდა. ამ მდგომარეობის საპასუხოდ თანა-მედროვე პროფესიულმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ პრაგმატული პოლიტიკური აზროვნების სპეციფიური ფორმა - „სტრატეგიული აზროვნება“ განავითარა.

ამ ტერმინით პოლიტიკის გააზრების განსაკუთრებული „კულტურაა“ მინიშნებული. იგი, ზოგადად, სოციალური რეალობის, როგორც, პირველ რიგში, ადამიანთა შორის მოქმედი მდგრადი ურთიერთობებით მოწესრიგებული

გარემოს - ე.ი. ადამიანის საზრისებით, ანუ ადამიანის სუბიექტურ ფასეულობათა შესაბამისად მოწესრიგებული რეალობის - კონსტრუირებისაკენ არის მიმართული. აქ პოლიტიკოსის წინაშე, ერთი მხრივ, მისი გარემოს „სტრატეგიული ანალიზის“ ამოცანა დგება: ამ გარემოში პოლიტიკოსმა, უკვე აუცილებლობით, უნდა „დაინახოს“ ყოველივე ის, რაც ადამიანურ ურთიერთობაში ობიექტურად უხილავი და დაფარულია, და ცნობიერად გამოჰყოს იგი (როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული და მოქმედი ინტერესებით განსაზღვრული ფაქტობრივი მდგომარეობა, და ამ მდგომარეობის შეფასება, როგორც წარსულის გამოცდილებიდან გამოტანილი გაკვეთილი). მეორე მხრივ, ამ აზროვნებას „სტრატეგიის სინთეზის“ („სტრატეგიის დამუშავების“) ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. ეს აქტივობა პოლიტიკოსის ფასეულობის შესაბამისად მისი გარემოს მოწესრიგების ძალისხმევის ორგანიზაციისა და წარმართვის ზოგად მიზანს ისახავს.

აზროვნების ამ „კულტურაში“ პოლიტიკის გააზრებისა და მისი კონკრეტული დამუშავების ანალიტიკური სიმძლავრე და პრაგმატული ეფექტიანობა განპირობებელია იმით, რომ იგი კატეგორიულად ემიჯნება სოციალური რეალობის გააზრების იმ კონცეპტუალურ აპარატსა და სააზროვნო სქემებს, რომლებიც ბუნებისმეტყველებაში არის დამკვიდრებული. ეს აპარატი და სქემები ჩამოყალიბდა იმ წარმოდგენათა საფუძველზე, რომ მატერიალური სამყარო, ძირითადად, მის სტრუქტურულ კომპონენტთა შორის მოქმედი ***მიზეზო-ბრივი*** ურთიერთობებით არის მოწესრიგებული. მაგრამ როდესაც სოციალური რეალობის საფუძველი ელემენტები თავისუფალი ნების მატარებელი ადამიანები ხდებიან, მათი თანაცხოვრების წესრიგის დომინანტურ ურთიერთობად ***იერარქია*** გამოიკვეთა. ამან რადიკალურად შეცვალა არა მხოლოდ თავად ამ წესრიგის ორგანიზაციის ფორმა, არამედ მისი მდგრადი არსებობის განმსაზღვრავი სოციალური მექანიზმები, შესაბამისად, მათი გააზრების თვისობრივი შინაარსიც და რაციონალური სტრუქტურაც. კერძოდ, ამ

სტრუქტურული წარმოდგენის ძირითადი კომპონენტებია: თანამედროვე ცხოვრებისეულ პრობლემათა ადეკვატური კონცეპტუალური აპარატი, პოლიტიკური პრობლემის გლობალური კონტექსტის კონსტრუქციული გააზრების მეთოდოლოგია, შესაბამისად დამუშავებული ანალიტიკური აპარატი, პოლიტიკის სტრატეგიული გააზრებისა და სტრატეგიის პრაქტიკული დამუშავების მკაფიო ტექნოლოგია, დამუშავებული სტრატეგიის მდგრადი აღსრულების ინსტიტუციური პირობები და სხვა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის სტრატეგიული გააზრების ტექნოლოგიამ მთელ ამ პროცესს მკაცრად დისციპლინირებული ფორმა მიანიჭა. ამან საშუალება და გარანტირებული პირობა შექმნა იმისა, რომ ყველაფერი ის, რაც მოცემული პრობლემური სიტუაციის კონკრეტულ პირობებში, ჩვეულებრივ, „არ“ და „ვერ“ იყო გათვალისწინებული, ახლა პოლიტიკოსის ერთიან გონებრივ მზერაში გარდუვალად მოექცევა და ასევე ერთიან მთლიანობად იქნება ადეკვატურად გააზრებული.

ამიტომ ბუნებრივია, რომ თანამედროვე მსოფლიო რეალობაში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული გააზრება პროფესიული პოლიტიკური კულტურის საყოველთაო ნორმა გახდა. სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული გააზრებისა და სტრატეგიის დამუშავების ანალიტიკური ხელშეწყობის შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა თანამედროვე სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებლობად გადაიქცა. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ამგვარი რეგულარული ანალიტიკური ხელშეწყობის ინსტიტუციური სისტემა დღემდე არ გააჩნია. ამიტომაც რეგულარულად ვიმეორებთ წარსულის შეცდომებს. ცხადია, კვლავაც გავიმეორებთ. მაგრამ როდემდე? - მანამდე, სანამ პოლიტიკურ აზროვნებას არსებითად არ შევცვლით. აქვე დავძენ, რომ ამგვარად შეცვლილი მდგომარეობის ***მდგრადი არსებობის*** პირობას მხოლოდ მისი ინსტიტუციურად უზრუნველყოფილი საფუძველი წარმოადგენს.

Tedo Japaridze

პროლოგი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩობისას (1994-2002 წლები) ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნიკალურ საარქივო მასალას წავაწყდი. ეს გახლდათ მიმოწერა საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის წევრებს შორის...

წლების შემდეგ, ეს დოკუმენტები სრულად დაუბრუნდა საქართველოს და ჩვენს ეროვნულ არქივში დაიდო ბინა. გუშინდელივით მახსოვს ემოცია, როგორ იმოქმედა ჩემზე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის წერილმა ნოე რამიშვილისადმი. ერთი ფრაგმენტი დღესაც არ ამომდის გონებიდან...

„სამი წელი ისე დავკარგეთ, რომ ერთი მეგობარი-მფარველი ვერ**ვიშოვეთ, და არა იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა, არამედ ჩვენ თვითონ არ ვცდილობდით ამას. მთელი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ან უკეთ - აპოლიტიზმი, მიმართული იყო იქითკენ, რომ დაგვეფრთხო უცხოელნი... ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, მომავალშიც არ ვართ დაზღვეული, რომ წარსულ შეცდომებს არ განვიმეორებთ, ძალიან გატეხილი გვაქვს სახელი... არ არის ისეთი უცხოელი ვაჭარ-მრეწველი, ვინც ჩვენთან ყოფილა და არ გვაგინებდეს... ასე არ შეიძლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. სადაც პასუხისმგებლობა არაა, იქ არ არის სახელმწიფო“**.[1]

აკაკი ჩხენკელის ეს თითქმის ასი წლის წინანდელი სევდიანი ნააზრევი და მისი დღევანდელ რეალობაში გასიგრძეგანება მაიძულებს გავკადნიერდე და მკითხველს მოკრძალებული მოსაზრებები შევთავაზო საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, თავს უფლებას ვაძლევ ვისაუბრო ჩვენი სამშობლოსდღევანდელ საფრთხეებსა და გამოწვევებზე...

უცნაურია, როგორ მეორდება ყველაფერი. იგივე

1. წერილის ორიგინალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.scribd.com/doc/260354209/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A1

პრობლემები, იგივე გამოწვევები, იგივე შეცდომები, იგივე იმედგაცრუება, იგივე განცდა და იგივე სამწუხარო რეალობა. ალბათ, მომიტევებს მკითხველი, თუკი ქვემოთ თავადაც წააწყდება აზრისა თუ მოვლენის განმეორებას, ვინაიდან, გვინდა თუ არ გვინდა, ესაა ჩვენი სინამდვილე... თითქოსდა, რაღაც მანქანებით, ბოლო არ უჩანს მოჯადოებულ წრეს, რისგან თავის დაღწევასაც საქართველოს მოქალაქეთა, ვინ უწყის, მერამდენე თაობა ცდილობს.

გამუდმებით მაქვს შეგრძნება, თითქოს წლებში გარინდულ, ავბედით წრეზე დავდივართ, თითქოს ვერ ვსწავლობთ, თითქოს არად მივიჩნევთ მწარე გამოცდილებას.

არ მინდა თუნდაც საკუთარი თავის წინაშე ვაღიარო, რომ საუკუნის წინანდელი შეცდომები კვლავ თან სდევს ყველა ჩვენს მთავრობასა თუ ხელისუფლებას...

ორი მთავარი მოცემულობა

ვფიქრობ, კატეგორიულობა არაინტელექტუალური პოზიციაა და ამდენად, მსჯელობას, რომელსაც დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობ, მხოლოდ თვალსაზრისზე აქვს მოკრძალებული პრეტენზია და არამც და არამც საბოლოო ჭეშმარიტებაზე.

თვალსაზრისს კი, დამეთანხმებით, ალბათ, აქვს არსებობის უფლება.

დავიწყებ ორი მოცემულობით.

პირველი

დღევანდელი მსოფლიო არც უნიპოლარულია და არც მრავალპოლარული. გარდამავალი ეპოქაა ირგვლივ. ის უფრო ქაოტურის და გამოუცნობის შთაბეჭდილებას ტოვებს - უამრავი გამოწვევებითაა სავსე. 21-ე საუკუნეში კი გამოწვევები მეტწილად საერთოა და ამდენად, ნებისმიერი დიდი თუ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას გულისხმობს.

მეორე

ძლიერი სახელმწიფოების (იმპერიული ამბიციების) კონფლიქტური ინტერესების გადაკვეთაზე ყოფნა ქართული სახელმწიფოსთვის უბრალო გეოგრაფია და ისტორიული მოცემულობაა. ეს მუდამ განსაზღვრავდა ევროპისა და აზიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გზაგასაყარზე არსებული ქართული სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკური ამოცანების თავისებურობას და ერთგვარ უნიკალურობასაც კი. ეს იყო მუდამ და დღესაც რჩება ქართული სახელმწიფოს რეალობად, იმ რეალობად, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ და თუკი მართლაც გვინდა სამომავლო წარმატება, სწორედ რეალობის ადეკვატური აღქმა უნდა ვაქციოთ ჩვენი ქმედებების ამოსავალ წერტილად. სურვილი ერთია - რეალობა მეორე.

მოჯადოებულ პოლიტიკურ წრეზე

დღევანდელ ვითარებაში ქართული სახელმწიფოსთვის მთავარი პრობლემა ისაა, რომ რუსეთიც და დასავლეთიც მას განიხილავენ, როგორც ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში საკუთარი ინტერესების რეალიზების ერთ-ერთ საშუალებას და არა რამდენადმე დამოუკიდებელ მოთამაშეს. ჯონ სტეინბეკს თუ მოვიშველიებთ, ეს „ჩიხი“ ჩვენთვის ისეთივე უსასრულო აღმოჩნდა, როგორც დღე საუზმის გარეშე. ამან, ბუნებრივია, სტერეოტიპებიც დაამკვიდრა - თითქოს ქართულ სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი შიდა და გარე პოლიტიკა. თითქოს საქართველოს არ შესწევს ძალა, დაამკვიდროს, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ბალანსი თავისსავე შიდა და გარე პრიორიტეტებში. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს გარეთ დამკვიდრებული სტერეოტიპი. იძულებული ვარ, კვლავაც გავიმეორო - სახეზეა მოჯადოებული, პოსტკოლონიალური სინდრომით გაჯერებული პოლიტიკური წრე - ქართველი პოლიტიკური

ლიდერების კომპლექსი, რომ უიმედოა დამოუკიდებელი პოლიტიკის მცდელობაც კი, და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეების სკეფსისი და იმედგაცრუება. მოდით ვაღიაროთ - დღეს უკვე ქვეყნის შიგნით ინსტინქტის დონეზეც აღარავის სჯერა სტრატეგიული გადაწყვეტილებების. პოლიტიკური ნიჰილიზმი გასდევს ლაიტმოტივად,როგორც მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების დაბალანსების მცდელობას, ასევე მოქალაქეთა პასუხისმგებლობასაც. კვლავ ვიმეორებ, რომ აქ არის მთავარი პრობლემა და თქვენ წარმოიდგინეთ გამოსავალიც - ქართული პოლიტიკის ლიდერებისგან აუცილებელია უთამამესი, წრესგაცდენილი ინიციატივები და მოქალაქეებისგან კი რწმენა და პასუხისმგებლობა. ოღონდ ერთდროულად.

მოლოდინები

უკვე მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა მსოფლიო და რეგიონალური პოლიტიკის დინამიკა. პარადოქსულად მარტივია უმთავრესი ამოცანა - სრულიად გაურკვეველ და სახიფათო 2015 წელს მკაფიო და პრაგმატული საგარეო პოლიტიკური ხედვით უნდა გავყვეთ. უტრირებული გამოთქმა რომ მოვიშველიო, როდესაც არ იცი მარჯვნივ წახვიდე თუ მარცხნივ, უნდა მისდიო კლასიკურ წესს. ანუ ბალანსი უპირველესად სამეზობლოში უნდა გავარკვიოთ. აბა დავაკვირდეთ - კრემლმა ბოლომდე შეტოპა უკრაინის კონფლიქტის მის მიერვე შექმნილ ჭაობში. რუსული რუბლი კომაშია და წვეთოვანსაც ვერ უდგამენ. ნავთობის ფასი მკვეთრად მერყეობს. რუსული ეკონომიკა ინსტიტუციონალურ სტაგნაციაშია. ამდენად (მიუხედავად

მორიგი რუსული აგრესიის რეალური საფრთხისა) 2015 წლის დასაწყისი ქართული პოლიტიკის ლიდერებს შედარებით კომფორტულ პირობებს სთავაზობს, უფრო თამამად განსაზღვროს და „შეკრას“ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი, ნათლად დახაზოს განვითარების ვექტორი. სიტუაცია რუსეთში იძლევა საშუალებას, რომ ქართულმა სახელმწიფომ საკუთარ პირობებს და ინტერესს მიუსადაგოს არა პრობლემებს კუდში ადევნებული, არამედ დამოუკიდებელი სტრატეგია. კი არ გამოეკიდოს, არამედ მზად დახვდეს კრიზისულ სიტუაციებს. რეაქცია შეცვალოს პრევენციით.

ყველამ ვიცით, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ძირითადად განისაზღვრება სწრაფვით - გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი. ეს საერთო ეროვნული კონსენსუსი და გზაა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი, პრაგმატული და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ-ემოციური პრობლემის მოსაგვარებლად - აფხაზეთის და სამხრეთ

ოსეთის რეინტეგრაციისათვის. 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში თითქოს გაჩნდა მნიშვნელოვანი და პრაგმატული ელემენტი - რუსეთთან უაზრო, მხოლოდ ოკუპაციის მომტანი მილიტარისტული „ბრავადის“ მაგიერ, დინჯი კომუნიკაციის მცდელობა, განსაკუთრებით, ორმხრივი ურთიერთობების ნაკლებად პოლიტიზირებულ ასპექტებში. და ეს მიუხედავად იმ გაურკვევლობისა, რაც გარს აკრავს მოვლენებს, რომელიც რეგიონში და, ზოგადად, მსოფლიოში ვითარდება. აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ „ეს გაურკვევლობა“ სრულიად განუჭვრეტადია. აქაც გამეორება მიწევს, მაგრამ საქართველოსთვის გლობალურ საფრთხეებს ზედ ემატება ჩრდილოელი მეზობლის არაპროგნოზირებადი ქცევა.

უსაფრთხოება - პროგრესიც და იმედგაცრუებაც

უსაფრთხოება ძალიან ფართო პოლიტიკური მცნებაა (განსაკუთრებით დღევანდელ მსოფლიო წესრიგში) და იგი არ მიიღწევა მხოლოდ კონკრეტული პრობლემის თავიდან არიდებით. მრავალფეროვანია უსაფრთხოების არსენალიც. პატარა და რთულ რეგიონში განთავსებული სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით ეფექტურია პოზიტიური გზავნილი, კონსტრუქციული, დაბალანსებული მიდგომა, სხვისი რეალური ინტერესის გათვალისწინება. როდესაც ქვეყანა მიმზიდველია, სანდოა, სასარგებლოა, ღირსეული რეპუტაციით სარგებლობს და საკუთარი როლის არა მხოლოდ დეკლარირების დონეზე, არამედ რეალურად წარმოჩინებას ახერხებს, ეს ზრდის მის საჭიროებას, რეალურ დაინტერესებას და შესაბამისად უსაფრთხოებასაც.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერებული პაკეტის მიღებამ დაადასტურა საქართველოს მოქალაქეების და ხელისუფლების პროდასავლური კურსისადმი ერთგულება. ამ კონტექსტში კითხვის ნიშანი არ არსებობს. თუმცა რეალობაა ისიც, რომ ამ მიმართულებით

სახელმწიფოს სვლა არ მოხდება სერიოზული პრობლემებისა და გამოწვევების გარეშე. პოლიტიკური მეცნიერების ანაბანაა, რომ ყველაფერს თავისი ფასი აქვს - ისევე, როგორც უბრალო ადამიანურ ურთიერთობებში. ევროპული სწრაფვის, გამარჯვებისა და მარცხის, წინსვლისა და წაბორძიკების გავლენა საქართველოს უსაფრთხოებაზე კრიტიკულია.

დღევანდელ ვითარებაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს დაახლოების ნებისმიერი მცდელობა კრემლისთვის წითელი ხაზია. ეს არაერთხელ დადასტურდა და პოლიტიკური ლოგიკა კრემლის დღევანდელი მესვეურების გადარწმუნებისათვის, უბრალოდ, არ არსებობს. ანტონ ჩეხოვის არ იყოს ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ შეუძლებელია. ვერ შევძლებთ ამას ჩვენ და ვერ შეძლებენ ამას ევროპელები. მეტადრე მაშინ, როდესაც ასე აღიქვამენ სიტუაციას თავად ევროპის ძირითად დედაქალაქებში, მითუმეტეს უკრაინაში დატრიალებული მოვლენების ფონზე. მოსკოვისთვის პოსტსაბჭოთა სივრცე განსხვავებული, ცივილიზებული სამყაროსთვის „არანორმალური“ კონტექსტია და ამ მხრივ, ძალისხმევას რეალური შედეგის პერსპექტივა არ აქვს. ესეც მოცემულობაა, რის გაუთვალისწინებლობასაც სავალალო შედეგები შეიძლება, ჰქონდეს მთლიანად რეგიონალური სტაბილურობისთვის. ნატოში საქართველოს გაწევრიანება რუსეთისთვის კრემლის კავკასიური პოლიტიკის საბოლოო მარცხს და საკუთარი უსაფრთხოების „ხელყოფას“ ნიშნავს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა ე.წ. მაპის მიღება. განა იმიტომ, რომ საქართველო ამას არ იმსახურებს, ან ვინმე ევროპაში ამის წინააღმდეგია?! არა! უბრალოდ, უკრაინის მოვლენები ცხადყოფს, რომ ევროპა (კონკრეტულად კი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი) მზად არ აღმოჩნდა რუსულ აგრესიაზე ადეკვატური რეაგირებისთვის. მაშასადამე,ისმება კითხვა - რა უნდა იყოს ტაქტიკა (ხაზს ვუსვამ – ტაქტიკა, და არა სტრატეგია) ამგვარ ვითარებაში?

რა უნდა ვაკეთოთ?

2008 წელს რუსეთის აგრესიამ საქართველოში და 2014 წელს კი უკრაინაში ნათლად დაგვანახა, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ელემენტარული ნორმების გათელვა და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების ხელყოფა ძალიან საშიში პრეცედენტია არა მხოლოდ ჩვენი რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

საქართველომ უნდა ეძებოს არა მხოლოდ ეფექტური საშუალებები საკუთარი ტერიტორიების დასაბრუნებლად, არამედ უნდა დაეხმაროს საკუთარ თავს გახდეს ფუნ-ქციონალური ქვეყანა - ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ბოლომდე უნდა გაუხსნას კარი შიდა რეფორმებს და ეძებოს არაორდინარული მიდგომები საგარეო პოლიტიკაში.

ზოგიერთი უცხოელი (და არა მხოლოდ) ექსპერტის აზრით, იდეის დონეზე დაფიქრებად ღირს ე.წ. „ფინლანდიზაციის მოდელი“. ეს გულისხმობს საქართველოს მიერ ნატოს წევრობის განაცხადის გამოთხოვას და ნეიტრალიტეტის გამოცხადებას. ამ ექსპერტების აზრით, საქართველო შეინარჩუნებდა არსებით თანამშრომლობას ნატოსთან, მისი პოზიცია კი ევროკავშირის და ასოცირების შეთანხმების მიმართ არანაირად არ შეიცვლებოდა. ეს ექსპერტები თვლიან, რომ აქტიური დარჩებოდა საქართველოს დასავლეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია და აშკარა სტრატეგიული ნეიტრალიტეტი. მიუმხრობლობის პოზიციისკენ სწრაფვა, მათი აზრით, შეარბილებდა მოკლე და საშუალოვადიან ურთიერთობებს რუსეთთან და საქართველოს მოაგებინებდა ძვირფას დროს.

თუმცა ჩვენი საკუთარი გამოცდილება გვკარნახობს, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება არ უზრუნველყოფს რუსეთის მხრიდან ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯის სათანადო აღქმას. ნეიტრალიტეტის გამოცხადება მხოლოდ რუსეთის აგრესიის რისკის შესუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, და არა უსაფრთხოების გარანტია. მაგრამ, უკრაინის მოვლენების გათვალისწინებით რუსეთის მხრიდან რომელ „გარანტიებზე“ შეიძლება თუნდაც დაფიქრება?! ან ამ არსებული „გეოგრაფიის“ პირობებში, რომელ „ნეიტრალიტეტზე“ შეიძლება იფიქროს საქართველომ?

თუმცა, ვფიქრობთ, რომ შედარებით უმტკივნეულო იქნებოდა საზოგადოებაში წყნარი მსჯელობის დაწყება, თუ რა პლუსი და მინუსი აქვს სტრატეგიულ (ჩვენ შემთხვევაში – ტაქტიკურ) ნეიტრალიტეტს. მე, პირადად, ამ მოდელს ამ მოცემულობაში არ დავუჭერ მხარს, მაგრამ აკადემიური მსჯელობა ამ თემებზე (და არამხოლოდ), არ იქნებოდა ურიგო. საქართველოს წარმატებული მცდელობა, თავიდან აიცილოს ესკალაცია რუსეთთან, ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის და სანდოობის ნიშანი იქნება. უპირველესად

ევროპელების თვალში. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა და მეტი არაფერი.

სამოქალაქო ნიჰილიზმი და საყოველთაო იმედის გაწბილება ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხე და გამოწვევაა საქართველოს ხელისუფლებისათვის. დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოს ყველა მთავრობა სასურველზე ზემოთ წევდა ევროპული მოლოდინების თამასას და, ნებსით თუ უნებლიედ, აჩენდა წრეგადასულ მოლოდინებს. პოლიტიკური ანბანია, რომ ამგვარი ქმედება ნებისმიერ ხელისუფლებას ბუმერანგივით უკან უბრუნდება.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი საქართველოში დაემსგავსა მითიურ კარს, ჰორიზონტს, მირაჟს, რომელიც თითქოს ახლოა, მაგრამ ვერ უახლოვდები. „დაკარგული ილუზიები“ მთავრობის მარცხად აღიქმება (სრულიად

ლოგიკურად) და ეს უაღრესად სახიფათოა, როგორც შიდა პოლიტიკურად, ასევე, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრ ივადაც. შესაბამისად, ხელისუფლება უნდა ფოკუსირდეს რეალურ საქმეებსა და მიღწევებზე და უნდა „გარისკოს“ საკუთარი მოქალაქეებისთვის მართალი და ლოგიკური, სახელმწიფოებრივად სწორი გზავნილები.

რამდენადაც ქართველი ლიდერები, ერთი მხრივ, ესწრაფვიან ტერიტორიული პრობლემების მოგვარებას, მეორე მხრივ, დასავლურ ინტეგრაციას და, მესამე მხრივ,

რუსეთთან კონფლიქტის თავიდან აცილებას, ევროკავშირი ნატოზე უკეთესი მიზანია ფოკუსირებისთვის, რადგანაც საკითხი ეხება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას და არა უსაფრთხოებას. მაგრამ ესეც ფრთხილად უნდა განხორციელდეს. რუსეთის პოზიცია საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობაზე ნაკლებად კრიტიკულია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს პოტენციურად აქვს მეტი მოქნილობა ამ ურთიერთობებში. რუსეთი, როგორც ჩანს, შეიძლება უფრო ტოლერანტული იყოს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების საკითხში, თუნდაც ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დაბალი ტემპის გამო.

საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებშია ევროპისაკენ სწრაფვა. ეს არა მხოლოდ ემოციური, არამედ პრაგმატული არჩევანია - საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის სამომავლო გარანტიაა, იმ აუცილებელი ინსტიტუტების აღმშენებლობა, შიდა რეფორმების გატარება, რომლებიც დასავლური ორგანიზაციების წევრობის თუ არაწევრობის შემთხვევაში სარგებელს მოუტანს ყველა მოქალაქეს.

ვფიქრობ, რომ აუცილებელია ჩვენი მოქალაქეებისთვის იმ დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მარტივ ენაზე ახსნა, რაც აუცილებელია მომავალში ამ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად, იმის აქცენტირება, რომ რეფორმები თავისთავად არის ქყვეყნისათვის და მისი მოქალაქეებისათვის სიკეთის მომტანი და არ არის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მცდელობა.

რუსეთი - უსაფრთხოება კონსტრუქციულობის გზით?

არ ახალია - ძველია, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების გარეშე ახლო და საშუალოვადიან პერ-სპექტივაში ქართული სახელმწიფო ეგზისტენციალური რისკების ქვეშაა. უკრაინაში ბოლო ხანს დატრიალებული ტრაგედიის და კრემლის უკრაინული აგრესიისადმი

icy Cl s in the
BRJOMI

Region

ევროპის ერაერთგაროვანი პოზიციის გამო, ეს დამოკლეს მახვილი ძალიან წვრილ ძაფზე კიდია.

საქართველოსთვის მეზობელი რუსეთი და მეზობელი ევროპა ორი სრულიად განსხვავებული მოცემულობაა. შესაბამისად, განსხვავებულია მიდგომა როგორც ერთი, ასევე მეორე მიმართულებით. ეს ის თემაა, სადაც სრულად უნდა გამოირიცხოს ემოცია და პრიორიტეტები უნდა განი-საზღვრის მხოლოდ ცივი პრაგმატიზმით. პრეზიდენტმა პუტინმა მძიმე წერტილი დაუსვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ მსოფლიო წესრიგს, პატარა ქვეყნის გადარჩენის გზა, შექმნილ სიტუაციაში, მხოლოდ პრაგმატიზმზე და რეალურ პოლიტიკაზე გადის. გვინდა თუ არ გვინდა რეალობა ესაა. „finnita la comedia“და მოვიდა რეალური პოლიტიკის ეპოქა.

რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებზე მიერთება საქართველოსთვის პოლიტიკურად მხოლოდ სასაცილო და ზიანის მომტანია. დარტყმის ქვეშ მყოფ საქართველოში არეულობა და დამატებითი კონფლიქტი ჩვენს მომავალს მხოლოდ დააშორებს ევროპულ პერსპექტივას. ევროკავშირი და ნატო მხარს უჭერენ (სუფთად პრაგმატულად) საქართველოს და რუსეთს შორის დაძაბულობის შემცირებას და არა პირიქით. ეს ის სინამდვილეა, რაც, პირველ ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ნებისმიერმა პოლიტიკურმა ლიდერმა. გულში მუშტების ბრაგუნი არა მხოლოდ პოლიტიკური პროვინციალიზმია, არამედ ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და პოლიტიკური დანაშაული.

ახლო და საშუალოვადიან პერტსპექტივაში დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან გამორიცხულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამო. ამას, შექმნილ სიტუაციაში, ვერცერთი მთავრობა ვერ გაბედავს და არც აქვს რაიმე სარგებელი ამგვარ ნაბიჯს. იგი აუხსნელიც არის და დამაზიანებელიც. ფაქტია, რომ მსოფლიოში არავინ აპირებს სეპარატისტული კონფლიქტების საქმეში ჩარევას საქართველოს ინტერესების დასაცავად. საერთო ევროპულ ღირებულებებზე საუბარი მომხიბვლელი თემაა, მაგრამ კატეგორიულად აუცილებელია მოსკოვთან დიალოგის რაც შეიძლება მეტი არხის შენარჩუნება. ჟენევის ფორმატმა და აბაშიძესა და კარასინს შორის შეხვედრებმა უნდა ითამაშოს გარკვეული (მაგრამ მხოლოდ გარკვეული!) როლი რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობების და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ბედის განსაზღვრაში. საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი კარასინსა და აბაშიძეს შორის კომუნიკაციას. მუდმივად აქცენტირებას საჭიროებს ის მინიმალური სარგებელი, რაც ამ კომუნიკაციამ მოიტანა. გარდა ამისა, შექმნილ ვითარებაში ეს თბილისს საშუალებას აძლევს მეტ-ნაკლები კონტროლის ქვეშ მოაქციოს რუსეთის არაპროგნოზირებადი ქმედება.

თუმცა აქ მეორე საფრთხეა, რის გამოც არცერთ მომენტში არ შეიძლება ყურადღების მოდუნება - რუსეთმა ეს საკუთარი ექსპანსიის ზავუალირებისათვის არ უნდა გამოიყენოს. არ უნდა შეიქმნას საქართველოსთან კონსტრუქციული დიალოგის ილუზია, პირველ რიგში, ევროპელებისთვის. პრეზიდენტ პუტინის ამასწინდელი განცხადება უმაღლეს დონეზე დიალოგის შესახებ, არ არის ურიგო შესაძლებლობა სარეალიზაციოდ, ბუნებრივია, ძალიან სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ დისკუსიის შენარჩუნება რაც შეიძლება მეტ ფორმატში, გადამწყვეტია. საქართველოს შეუძლია, დაეყრდნოს თავის რეალურ ღირებულებას რუსეთისათვის. ასამოქმედებელი და გამოსაყენებელია ის ნიშა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, რაც საერთო ბუნებრივ

ინტერესებს ეფუძნება - ჯიჰადისტური საფრთხეები, ტერორისტებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან მებრძოლების მოძრაობის საკითხში საერთო მიზნებისათვის ერთობლივი მუშაობა და ასე შემდეგ. საქართველო სარგებელს ნახავს უსაფრთხოების გაუმჯობესებული მდგომარეობიდან მაშინ, როდესაც რუსეთი ნასიამოვნები დარჩება ამ საფრთხეების მინიმიზირებით. რუსეთის უსაფრთხოებას გავლენა აქვს საქართველოს უსაფრთხოებაზე ისევე, როგორც რუსულ რუბლს – ქართულ ლარზე. საქართველოს ინტერესებშია, რომ ემეზობლოს უფრო სტაბილურ ჩრდილოეთ კავკასიას. საქართველომ უნდა დაარწმუნოს რუსეთის ხელმძღვანელობა, რომ არათუ არ არის დაინტერესებული რუსეთში არასტაბილურობით ან ეკონომიკური კრიზისით, არამედ, პირიქით, რუსეთის უზარმაზარი ბაზარი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია და ბუნებრივია, რუსული რუბლის სიცოცხლისუნარიანობა არსებითია, განსაკუთრებით, რუსეთში მცხოვრები ქართველების ფულადი გზავნილების გათვალისწინებით. ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება პოლიტიკური დაძაბულობის ნორმალიზების ერთ-ერთი ბუნებრივი გზაა. საქართველოს ლიდერებმა უნდა განიხილონ, რას გულისხმობს რუსეთისთვის სომხეთზე რკინიგზის შეთავაზება, რაც გააკეთებს იმის დემონსტრირებას, რომ საქართველო არ ცდილობს ევრაზიული კავშირის წარმატებისთვის ხელის შეშლას და აღიარებს თავისი მეზობლების უფლებას, რომ შეუერთდნენ ეკონომიკურ კავშირებს საკუთარი არჩევანის შესაბამისად, მითუმეტეს, რომ ბრიუსელში უკვე ხშირად საუბრობენ ევროკავშირ-ევრაზიულ თანამშრომლობაზე.

ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მიდგომა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ სრულიად ბუნებრივია - რუსეთი განიხილება როგორც ოკუპანტი ძალა. მეორე მხრივ (მიუხედავად ამ რეალობისა), წინდახედული და სასარგებლოა ურთიერთობების ნაკლე-

ბად პოლიტიზირებული ასპექტების გაუმჯობესება - ვაჭ-
რობა, ვიზები, სატრანსპორტო არტერიები, რუსული
კომპანიების აქტივობა საქართველოში და ასე შემდეგ.
რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების პარადიგმა არ
შეცვლილა ისევე, როგორც არ შეიცვლება საქართველოს

პროდასავლური კურსი. ამოცანაა, რომ სწორედ დასავლეთის რჩევის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, გავაუმჯობესოთ დიალოგი რუსეთთან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი არ ჩანს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხში, დაძაბულობა თითქოს შემცირდა და ორმა ქვეყანამ გააუმჯობესა სავაჭრო კავშირები. უფრო ძლიერი, უფრო მდიდარი საქართველო უფრო მიმზიდველია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის და ეს აუმჯობესებს რეინტეგრაციის პერსპექტივას, მით-უმეტეს, თუ ვიზალიბერალიზაციის უმნიშვნელოვანესი პერსექტივა რეალობად იქცა.

იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთობები რუსე-თთან, უბრალოდ, არ შეიძლება იყოს ნორმალიზებული, ვიდრე არ იქნება პროგრესი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხში, უნდა ვცადოთ, რომ გავაუმჯობესოთ მრავალმხრივი ურთიერთობებისსხვა ასპექტები. 2008 წელს საბოლოოდ გავიგეთ, რომ რუსეთისგან მილიტარისტული რიტორიკით „დისტანცირება“ უაღრესად საშიშია - რუსეთი საქართველოს საზღვარზეა და მოქმედებს გასული საუკუნის მეთოდებით - კრემლისთვის არ არსებობს არგუმენტების ძალა, არსებობს მხოლოდ ძალის არგუმენტი. კონსტრუქციული ურთიერთობების განვითარება ამ ყაიდის აგრესორ მეზობე-ლთან ურთულესი და გრძელი გზაა საქართველოსთვის და შესაძლო დიალოგი ამ გზის მხოლოდ ფრთხილი დასა-წყისია. გარკვეული პერიოდის შემდეგ რთული არ იქნება, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, კორექტივების შეტანა. უკრაინაში მოვლენათა განვითარების სცენარი (ფრიად პესიმისტური) ბევრს გამოაჩენს. ამ მომენტში ჩვენგან საჭიროა სტრატეგიული სიმშვიდე და არა ფიქრი იმასთან დაკავშირებით, რა მოხდება ზეგ და მაზეგ. უნდა გავყვეთ დეილ კარნეგის კლასიკურ პრინციპს და სწორი ნაბიჯები გადავდგათ დღეს, კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

რეგიონალური პოლიტიკა - გზა ჩიხიდან

ახლო წარსულში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური შეცდომა რეგიონალური პოლიტიკის ფაქტობრივი იგნორირება, უკეთეს შემთხვევაში, თვით-დინებაზე მიშვება იყო. სამხრეთელი მეზობლების იგნო-რირება თითქოს ტენდენციად იყო ქცეული. ფოკუსირება კეთდებოდა მხოლოდ უახლოეს მეზობლებზე (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაზე და მხოლოდ ტრანზიტული ქვეყნის ფუნქციაზე.

არადა საქართველო ერთადერთი ნეიტრალური მოთამაშეა რეგიონში და აქვს გამაერთიანებლის უაღრესად მომგებიანი ფუნქცია - შეუძლია სტრატეგიული დიალოგის ცენტრიც კი გახდეს. ბუნებრივია, აქტუალური უნდა იყოს ჩვენთვის ბევრი დღეს უკვე არსებული ფორმატი, მაგრამ ასევე საჭიროა მხედველობის არეალის კიდევ უფრო გაზრდა. რეგიონი გაცილებით უფრო ფართოა, პრობლემურია და დაუშვებელია მისი პოლიტიკური დავიწროება სამხრეთ კავკასიად. მის ყველა სახელმწიფოს სჭირდება რაღაც სახის ერთგვარი პლატფორმა, რაც განამტკიცებდა რეგიონალურ უსაფრთხოებას და მინიმიზაციას გაუკეთებდა არსებული კონფლიქტების გაუარესებას. საქართველოსთვის ამ ტიპის თუნდაც მცდელობა შექმნიდა ჩვენთვის იმ მომგებიან რეპუტაციას, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდი.

სადღეისოდ ერთგვარ რეგიონულ კლიშედ იქცა სხვა-დასხვა დონის შეხვედრები მხოლოდ სამმხრივ ფორმატში - თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ბუნებრივია, ესსამმხრივი ფორმატი პოზიტიურია, მაგრამ საქართველოს ინტერესებშია, რომ შეიქმნას მექანიზმი რეგულარული დისკუსიისთვის, სადაც მონაწილეობას მიიღებს სომხეთიც და ირანიც. სომხეთი კავკასიაში ყველაზე უფრო იზოლირებული და რუსეთზე დამოკიდებული სახელმწიფოა. გაბედული ინიციატივებია საჭირო. სომხეთ-

აზერბაიჯან-თურქეთის დაძაბული სამკუთხედი რეგიონში უკონტროლო, დამღუპველი რეგიონული დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის, რაც, პირველ ყოვლისა, პატარა სახელმწიფოებს (ჩვენ, სომხეთსა და აზერბაიჯანს) ჩაითრევს მორევში. იმის ნაცვლად, რომ საშუალება მივცეთ კონფლიქტებს, გამოვიდნენ კონტროლიდან, ან რუსეთს, რომ გვიკარნახოს რეგიონის მომავალი, ან განახორციელოს მისით მანიპულაცია, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შეუძლიათ, იმუშაონ ერთიანი რეგიონული სტრატეგის გასავითარებლად. ამის ინიციატორი თბილისი უნდა გახდეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დიდ მოთამაშეებთან (რუსეთი, ირანი, თურქეთი) ამგვარი იდეის ინიცირებით. ეს ურთულესი და მრავალწახნაგოვანი თემაა, მაგრამ სწორედ დიდ მოთამაშეთა რეალური ინტერესების სკრუპულოზური შეჯერებითაა მიღწევადი და საქართველოსთვის უაღრესად მომგებიანი. საქართველო, როგორც ყველაზე ნეიტრალური მოთამაშე, იქნება ასეთი სტრატეგიის განვითარების ბუნებრივი ცენტრი,

თბილისი კი, ბუნებრივია, ადგილი, ე.წ. პოლიტიკური „ჰაბი“. ასევე საქართველოს ინტერესებშია ირანთან ურთიერთობების წყნარი გაუმჯობესება. ირანი რეგიონალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშეა და თუ სანქციები შესუსტდა, მისი ზომის და ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით, გახდება უმნიშვნელოვანესი პარტნიორი. რეგიონალური ლიდერების შეხვედრის მოწყობა, რათა განიხლონ რეგიონალური სტრატეგია დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ „გაყიდის“ საქართველო ამ იდეას. რეგიონის ყველა სახელმწიფოს ინტერესებში საერთო მიზნების განსაზღვრა და იმის ხაზგასმაა, რომ აუცილებელია გაიღოს კარი რეგიონალური დიალოგისთვის. იგი შეიძლება მიმზიდველი გახდეს რეგიონის ყველა სახელმწიფოსთვის.

დღეს რეგიონალური უსაფრთხოების ყველაზე დიდი საფრთხე მთიანი ყარაბაღია. და არ ჩანს მისი გადაწყვეტის არანაირი პერსპექტივა. იმ შიდაპოლიტიკური ზეწოლის პირობებში, რასაც განიცდის სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლება, მოლაპარაკებების შენარჩუნება და მისი უზრუნველყოფა ნეიტრალური სივრცით, სადაც სტატუს-კვო მაინც იქნება შენარჩუნებული, შეიძლება საქართველოს გაბედულმა სამშვიდობო ინიციატივებმა შეძლოს. თბილისს ძალუძს შესთავაზოს ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს ნეიტრალური სივრცე მოლაპარაკებებისა და დისკუსიებისათვის, უმაღლეს დონეზეც კი. აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა შეიძლება, ისურვონ ისეთი ადგილი დისკუსიებისთვის, სადაც არ იქნება ევროპელების, ამერიკელებისა და რუსების დომინირება.

მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასია საქართველოსთვის რჩება მთავარ პლატფორმად რეგიონალური თანამშრომლობისათვის, შავი ზღვის რეგიონი იქცა როგორც სერიოზული წუხილის, ასევე ინტერესის საგნად სწრაფად ცვალებადი უსაფრთხოებისა და ასევე ცვალებადი ენერგეტიკული პროექტების გათვალისწინებით. შავი ზღვის

ინსტიტუციონალური კონცეფცია ბუნებრივად იკვეთება სამხრეთ კავკასიის კონცეფციასთან, მაგრამ მოიცავს მოთამაშეთა გაცილებით ფართო წრეს, ევროკავშირის წევრების ჩათვლით. საქართველოს ნეიტრალიტეტი რეგიონალურ კონფლიქტებთან დაკავშირებით მას საშუალებას მისცემს, რომ გახდეს დისკუსიებისა და შეხვედრების ცენტრი სანაპირო ქვეყნებისათვის. საქართველოს ერთგულება კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებებისასდა მისი სურვილი, წვლილი შეიტანოს გლობალურ უსაფრთხოებაში, აქცევს მას ბუნებრივ ადგილად სხვადასხვა ოპონენტებს შორის საუბრისათვის. ეს დამხმარე ფუნქცია და საქართველოს დემონსტრირებული უნარი დაგეგმოს და შექმნას იმის ნაცვლად, რომ გააკეთოს მხოლოდ რეაგირება, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მის რეპუტაციას.

გაზრდილი თანამშრომლობა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან და ახალი „აბრეშუმის გზის“ როგორც ფიზიკური, ისე ინსტიტუციური ასპექტების მშენებლობა ასევე უზრუნველყოფს საქართველოს ახალი პლატფორმით დიალოგისთვის და შექმნის ორიგინალურ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია გაძლიერებული ურთიერთობები მრავალ ქვეყანასთან, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეკონომიკურ კავშირთან არიან ისინი მიბმული. რეგიონის მომავლის გარშემო არსებული ამდენი გაურკვევლობის პირობებში საქართველომ უნდა გააგრძელოს სხვადასხვა პარტნიორობის განვითარება.

საქართველომ აგრეთვე უნდა იმუშაოს, რომ დაანახოს და გაუზიაროს თავისი მიღწევები უახლოეს სამეზობლოს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ასოცირების შეთანხმების სარგებელს. ისეთ ქვეყნებს, როგორიც ირანია, საქართველო სთავაზობს ევროკავშირთან ვაჭრობის ახალ შესაძლებლობებს. ევროკავშირში მისი პარტნიორების და მეზობლებისთვის სარგებლის მოტანით, ვაჭრობისა და მოგების ახალი შესაძლებლობების შექმნით საქართველოც

ისარგებლებს. დასავლეთის ინსტიტუტებში გაწევრიანების ძალისხმევის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ასპექტია მისი შიდა განვითარება, მისი ინსტიტუტების გამტკიცება, მისი ეკონომიკის ზრდა, შესაძლებლობების განვითარება და სხვა. მთელ ამ პროცესში ნასწავლი გაკვეთილების გაზიარებით დაინტერესებული ქვეყნებისათვის საქართველო გაზრდის უფრო სტაბილური, წარმატებული რეგიონის შესაძლებლობას.

მეზობლებთან კავშირების გამტკიცება საქართველოს მოუტანს ორმაგ სარგებელს. ქვეყანა დაადასტურებს რეგიონალური პოზიტივის სურვილს და უნარს; ყველა დაინახავს საქართველოს ერთგულებას უსაფრთხოების მიმართ, რაც მას გახდის უფრო მიმზიდველს უფრო შორი პარტნიორებისათვის. ამავე დროს ეს შეამცირებს სამეზობლოში კონფლიქტის ალბათობას.

ეპილოგი

კიდევ ერთხელ გადავიკითხე აკაკი ჩხენკელის და ნოე რამიშვილის მიმოწერა. ადამიანურ ცხოვრებაში არაფერი მარტივი არ არსებობს, მითუმეტეს, პოლიტიკაში, კიდევ უფრო - დიდ პოლიტიკაში.

მიჩნდება ერთი შეხედვით თითქოს რიტორიკული, მაგრამ ვფიქრობ, ფრიად აქტუალური და არცთუ მარტივი კითხვები...

როდემდე უნდა ვეცადოთ ველოსიპედის თავიდან გამოგონებას?

როდემდე უნდა დავუშვათ უმარტივესი შეცდომები?

როდემდე არ უნდა ვისწავლოთ ჩვენივე შეცდომებზე?

როდემდე უნდა უგულებელვყოთ საკუთარი თუ სხვისი გამოცდილება და მუდმივად ვანგრიოთ ის, რაც ჩვენამდე შექმნილა?

როდემდე უნდა შეგვეშალოს საკუთარი ზომა, წონა და შესაძლებლობები?

გულით ვცდილობ პასუხების მოძებნას, დანარჩენი კი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო!

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

თედო ჯაფარიძე,

დაიბადა 1946 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისში.

განათლება:

1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომანულ-გერმანული ენები და ლიტერატურის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1972 წლის 1 იანვრიდან 1974 წლის 1 იანვრამდე მუშაობდა თსუ-ს ზეპირი მეტყველების ლაბორატორიის ლაბორანტად.

1974 წლის 1 იანვრიდან 1977 წლის 1 იანვრამდე იყო სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის ასპირანტი.

1977 წლიდან 1989 წლამდე იყო სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

1989 წლის 22 დეკემბრიდან 1990 წლის 21 სექტემბრამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილე.

1990 წლის 21 სექტემბრიდან 1991 წლის 3 იანვრამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი.

1991 წლის 3 იანვრიდან 30 აგვისტომდე იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსი.

1991 წლის 30 აგვისტოდან 1992 წლის 30 აპრილამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

1992 წლის 30 აპრილიდან 30 ნოემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

1992 წლის 30 ნოემბრიდან 1994 წლის 10 ივნისამდე იყო საქართველოს რესპ. ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე.

1994 წლის 16 ივლისიდან 2002 წლის 13 მარტამდე იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში.

2002 წლის 14 მარტიდან 2003 წლის 30 ნოემბრამდე იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, პრეზიდენტის თანაშემწე უშიშროების საკითხებში, საბჭოს მდივანი.

2003 წლის 30 ნოემბრიდან 2004 წლის 20 მარტამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

აქვს მინიჭებული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 200-ზე მეტი მონოგრაფიისა და სამეცნიერო - პოლიტიკური პუბლიკაციის ავტორი.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოხების ოჯოს, ვახტანგ ბოხბასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, გენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, სამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობილიზებით, მან, აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფები, დაფუძნდა ,,ჯეი, ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პრობლემურობის სამეცნიერო ცენტრები. მისი პატრონაჟით, სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. ,,სისანი", რომელმაც, მთლიანად შეცვალა ქვეყნის ეგზიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორეების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გამენდა ,,ახალგაზრდული ქალაქი" დაფუძნდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა თანამედროვე სასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომლის მგბავსი, მაშინ, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორედაში ბანახოსიელა დიდი ქართველი მნერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა ,,გზიერის" მშენებლობას, ხოლო, მობილიზებით, რესთველი მოზარდებს ,,აჩქარ" ენერგიული საბავშო ჟურნალზა, რომლის გამენდა, მისი ტოტალური დევნის პირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აბგალი მეგოხიანური ძალები ,,ნითელ ხიდზე" და ,,რეზში", ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა ,,ჯარი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე ესაზღვრობოდ შეყვარებული ვეჟანის გმირული ნაბიჯი. მისი მონამეობრივი სწორედა, ღრმესულად შეაფასა მისმა ენმირდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც ბანაცხადა, რომ მან - ,,ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, ისწორედ ისე - თითქოს მთელ ტვირთს ღებულობდა საკუთარ თავზე".